ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N -6
(CPV -22817000)

დაბა შუახევი 13 მარტი 2019 წელი

ერთი მხრივ **ა(ა)იპ შუახევის კულტურის ცენტრი** (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის **მაკა მაკარაზის** სახით და მეორე მხრივ **შპს „წიგნი-ბ“** (შემდგომში მიმწოდებელი) **ს/კ-445504099,** სს **„თიბისი ბანკი“, ბ/კ - TBCBGE22**, ანგარიშის ნომერი **GE09TB7215836080100006, მისი** წარმოდგენილი **დავით ბარამიძის** სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ს[1]” ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

მომწოდებელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველს აწვდის წინამდებარე ხელშეკრულების დანართით (ფასების ცხრილით) გათვალისიწნებულ საქონელს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების **ღირებულება შეადგენს 262(ორას სამოცდაორ) ლარს.**

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მიწოდების ვადა და ადგილი მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.

3.2 საქონლის მიღება განხორციელდება, ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულებისა და რაოდენობის მითითებით გაფორმებული მიღება-ჩაბარების საფუძველზე.

3.3. საქონლის მიწოდების ადგილია შემსყიდველის იურიდიული მისამართი.

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ თანხაზე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5.2. წუნდებული საქონლის შეცვლას მოთხოვნიდან 7 დღის ვადაში თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს მომწოდებელი.

5.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებეს შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი ა(ა)იპ შუახევის კულტურის ცენტრის მნე-მომარგების დარგში- ლასა დავითაძე

6. სხვა პირობები

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

6.2. მოწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

6.3. მოწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში მომწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.

6.4. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 მაისამდე.

6.5. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ასევე დასტურდება, რომ შემსყიდველის წარმომადგენელს (სკოლის დირექტორი) არ გააჩნია, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი მომწოდებელთან.

7. მხარეთა ხელმოწერები

ა(ა)იპ შუახევის კულტურის ცენტრის
დირექტორი მაკა მაკარაძე

NNLE "Shuakhevi Culture Centre"
Digitally signed by NNLE "Shuakhevi Culture Centre"
Date: 2019.03.13 16:23:18 +04'00'

შემსყიდველი

შპს წიგნი-ბ
დირექტორი დავით ბარამიძე

David Baramidze
Подписано цифровой подписью: David Baramidze
Дата: 2019.03.13 16:38:36 -07'00'

მიმწოდებელი

ფასების ცხრილი

ხელშეკრულება N-6					
	საქონლის დასახელება	CPV	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	თანხა
1	ბიბლიოთეკის დღიური	2281700	10	8	80
2	ბავშვებთან მომუშავე ბიბლიოთეკების დღიური	2281700	2	6	12
3	ბიბლიოთეკის ფონდის აღრიცხვის წიგნი	2281700	10	7	70
4	ბიბლიოთეკის ფონდების საინვენტარო წიგნი	2281700	10	10	100
5		32340000			
	ჯამი				262

--- ---

შემსყიდველი მიმწოდებელი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

დაბა შუახევი 13 მარტი 2019 წელი

ვადასტურებთ, რომა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ბიბლიოთეკის სამუშაო ჟურნალების შესყიდვასთან დაკავშირებით 2019 წლის 13 მარტის გაფორმებული N6 ხელშეკრულებაში მითითებულ მოწოდებასთან დაკავშირებით ინტერსთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

I მხარე	II მხარე
ა(ა)იპ შუახევის კულტურის	შპს „წიგნი-ბ“
ცენტრის დირექტორი მაკა მაკარაძე	დირექტორი დავით ბარამიძე

---------- ----------

შემსყიდველი მიმწოდებელი